

ტესტი ისტორიაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მსჯელობაა მართებული რომის მეფის ტარკვინიუსის შესახებ?

- ა) რომაელებმა ტარკვინიუსი უსამართლო და სასტიკი მმართველობის გამო დაამხეს;
- ბ) ტარკვინიუსის რეფორმით რომაელები ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დაყვეს;
- გ) რომაელები ტარკვინიუსის მმართველობისას გალებთან ბრძოლაში დამარცხდნენ;
- დ) ტარკვინიუსმა სათათბირო ორგანო - უხუცესთა საბჭო ანუ სენატი დააფუძნა.

(1) 2. რა ეწოდებოდა ფარნავაზის მიერ შემოღებულ სახელმწიფო თანამდებობას?

- ა) სატრაპი;
- ბ) მარზპანი;
- გ) პიტიახში;
- დ) სპასპეტი.

(1) 3. რით გაითქვა სახელი ოდოაკრმა?

ა) რომის კოლიზეუმის დანგრევით;

ბ) რომაელთა ერთგული მოკავშირეობით გალების წინააღმდეგ ომში;

გ) დასავლეთ რომის იმპერიის დამხობით;

დ) პირველი ბარბაროსული სახელმწიფოს შექმნით ჩრდილოეთ აფრიკაში.

(1) 4. რომელი ინფორმაციაა მარტებული საქართველოში თურქ-სელჩუკთა პირველი ლაშქრობის შესახებ?

ა) მტრის ჯარმა აიღო ჯავახეთში მდებარე ახალქალაქი;

ბ) სელჩუკები შემოიჭრნენ ქვემო ქართლში, მაგრამ დამარცხდნენ;

გ) შიდა ქართლში შემოსულმა სელჩუკებმა თბილისი გამარცვეს;

დ) მტრის ჯარი კახეთს შეესია, მაგრამ ცივი ზამთრის გამო უკან გაბრუნდა.

(1) 5. რა შედეგით დასრულდა II ჯვაროსნული ლაშქრობა?

ა) ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს ედესის დაბრუნება;

ბ) ანტიოქია ჯვაროსანთა ხელში გადავიდა;

გ) ჯვაროსნებმა დააარსეს ტრიპოლის საგრაფო;

დ) ჯვაროსნები დამარცხდნენ აკრასთან ბრძოლაში.

(1) 6. რა შედეგით დასრულდა 1465 წელს ფარავნის ტბასთან გამართული ბრძოლა?

ა) მეფე დაიღუპა შავბატკნიან თურქმანებთან ბრძოლაში;

ბ) მეფე დამარცხდა ყვარყვარე ჯაყელთან ბრძოლაში;

გ) გამარჯვებული უზუნ-ჰასანის ლაშქარმა დედაქალაქი აიღო;

დ) ბაგრატ ერისთავმა თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა.

(1) 7. რა სახელითაა ცნობილი XVI საუკუნის II ნახევარში რუსეთსა და რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოს შორის მიმდინარე მრავალწლიანი ომი?

ა) ჩრდილოეთის ომი;

ბ) ოცდაათწლიანი ომი;

გ) ლივონიის ომი;

დ) საღვთო ლიგის ომი.

(1) 8. რომელი ევროპელი მონარქი აწარმოებდა ხანგრძლივ ომს XVI საუკუნეში ნიდერლანდელი რევოლუციონერების წინააღმდეგ?

ა) ესპანეთის მეფე ფილიპე II;

ბ) საფრანგეთის მეფე ლუი XIV;

გ) ინგლისის მეფე ჰენრი VIII;

დ) შვედეთის მეფე კარლოს XII.

(1) 9. რომელი მსჯელობა არ არის მართებული ქართლის სამეფოს შესახებ?

- ა) ქართლის მეფე ლუარსაბ I არ ემორჩილებოდა სეფიანთა ირანს და მას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა;
- ბ) ქართლის უკანასკნელი მეფის, თეიმურაზ II-ის, გარდაცვალების შემდეგ ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანდა;
- გ) საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართლს შაჰის მიერ დამტკიცებული გამუსლიმებული ბაგრატიონები მართავდნენ;
- დ) ქართლის მეფე სვიმონ I ირანელთა წინააღმდეგ ომში დამარცხების შემდეგ სამეფო კართან ერთად რუსეთში გადასახლდა.

(1) 10. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანიის წარუმატებლობა?

ა) საფრანგეთის სათავეში ნაპოლეონის მოწინააღმდეგე იაკობინელების მოსვლამ;

ბ) პირამიდებთან გამართულ ბრძოლაში ფრანგების დამარცხებამ მამლუქებთან;

გ) ხმელთაშუა ზღვაში ინგლისელთა მიერ ფრანგული ფლოტის განადგურებამ;

დ) ვენეციელთა ფლოტის მიერ მოწყობილმა საზღვაო ბლოკადამ.

(1) 11. რა იყო 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი?

ა) აბსოლუტური მონარქიის აღდგენა;

ბ) მეორე რესპუბლიკის შექმნა;

გ) საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება;

დ) პირველი იმპერიის დამხობა.

(1) 12. რა უკავშირდება ოტო ბისმარკის მოღვაწეობას?

ა) გერმანიის გაერთიანება;

ბ) რაინის კავშირის შექმნა;

გ) პრუსიის სამეფოს აღდგენა;

დ) კონსტიტუციის შემუშავება.

(1) 13. რა შედეგი მოჰყვა რუსეთში 1917 წლის შემოდგომაზე მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებას?

ა) მონარქიის დამხობა და პირველი მსოფლიო ომიდან გამოსვლა;

ბ) კომუნისტური ხელისუფლების დამხობა და სოციალისტური მთავრობის შექმნა;

გ) დამფუძნებელი კრების მიერ საბჭოთა კონფედერაციის გამოცხადება;

დ) დროებითი მთავრობის მოღვაწეობის შეწყვეტა და სამოქალაქო ომის დაწყება.

(1) 14. რომელი მსჯელობაა მართებული პოტსდამის კონფერენციის შესახებ?

- ა) ამ კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი სახელმწიფოების მეთაურები;
- ბ) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ ამ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე გადაწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა;
- გ) ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დროს გამართული უკანასკნელი კონფერენცია, რომელზეც ანტიჰიტლერული კოალიციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურები შეიკრიბნენ;
- დ) მეორე მსოფლიო ომის წინ გამართულ ამ კონფერენციაზე დიდმა სახელმწიფოებმა უკანასკნელად სცადეს არსებული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება.

(1) 15. რომელი მსჯელობაა მართებული „ვარშავის პაქტის“ შექმნის შესახებ?

- ა) აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებისას შექმნილი ამ ორგანიზაციის წევრი ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტური სახელმწიფო იყო;
- ბ) მეორე მსოფლიო ომის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარი გავლენის განსამტკიცებლად სსრკ-მა შექმნა ეს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია;
- გ) ცივი ომის დროს სსრკ-ის ინიციატივით შექმნილ ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები;
- დ) უნგრეთსა და ჩეხეთში მომხდარი ანტისაბჭოთა გამოსვლების შემდეგ სსრკ-მა შექმნა ეს ორგანიზაცია, რათა თავიდან აეცილებინა მსგავსი მოვლენები სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დალაგეთ ძვ. წ. IV საუკუნეში განვითარებული მოვლენები.

1. ეგვიპტეში ქალაქ ალექსანდრიის დაარსება
2. დიადოქოსებს შორის ბრძოლის წამოწყება
3. მაკედონური ფალანგის ჩამოყალიბება

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მოვლენები.

1. მაგელანის ექსპედიციის დასრულება
2. ტორდესილასის ხელშეკრულების გაფორმება
3. ვასკო და გამას ექსპედიცია ინდოეთში

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში მოღვაწე პოლიტიკოსები სახელმწიფოს სათავეში მოსვლის დროის მიხედვით.


1. მიხეილ გორბაჩოვი
2. იოსებ სტალინი
3. ნიკიტა ხრუშჩოვი

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კიევის აღების შემდეგ მონღოლებმა გეზი ცენტრალური ევროპისაკენ აიღეს. ლაშქრის ძირითადი ნაწილი ბათო-ყაენის მეთაურობით უნგრეთს შეესია. უნგრეთის მეფემ ლაშქარი შეკრიბა და მტერთან შესაბამელად გაემართა, მონღოლებმა უკანდახევა დაიწყეს. რამდენიმე დღიანი დევნის შემდეგ უნგრელები მდინარე შაიოსთან მდებარე მოჰის ველს მიადგნენ, სადაც გამაგრებული ბანაკი დადგეს. მდინარის მეორე, ტყით დაფარულ მხარეს მონღოლები იდგნენ. შაიოზე გადასასვლელი ერთადერთი ხიდი უნგრელებმა დაიკავეს. ღამე მონღოლთა ლაშქრის მარცხენა ფლანგი სუბუდაის მეთაურობით დაიძრა და უნგრელთათვის შეუძინევლად სხვა ადგილზე ხის გადასასვლელის აგება დაიწყო. ამასობაში მონღოლთა მეწინავე ჯარმა ხიდის დაკავება გადაწყვიტა. ამის შესახებ უნგრელებს მონღოლთა ბანაკიდან გაპარულმა ტყვემ აცნობა. ხიდის დასაცავად მომზადებულმა უნგრელებმა მონღოლთა პირველი შეტევა მოიგერიეს. მალევე ბრძოლაში დამატებითი ძალებით ბათო ჩაერთო. მან აზიიდან წამოღებული დანადგარის დახმარებით ხიდი აიღო, თუმცა მდინარის დასავლეთ ნაპირზე უნგრელთა მთელი ლაშქარი დაუპირისპირდა, დიდი დანაკარგები განიცადა და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. სწორედ ამ დროს ბრძოლაში სუბუდაი ჩაერთო.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე


კითხვები:

- (1) **19.1.** რა მოიმოქმედეს თავდაპირველად მონღოლებმა მას შემდეგ, რაც უნგრეთის მეფე მათთან შესაბამელად გაემართა?
- (1) **19.2.** რომელი მხრიდან (ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი) ჩაერთო ბრძოლაში სუბუდაი?
- (1) **19.3.** კონკრეტულად რა მოწყობილობა იგულისხმება ტექსტში ნახსენებ „აზიიდან წამოღებულ დანადგარში“, რომელიც ბათო-ყაენმა ხიდის ასაღებად გამოიყენა?
- (1) **19.4.** სად შეაფარეს თავი უნგრელებმა ბრძოლაში სუბუდაის ჩართვის შემდეგ?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის მქონე ორ სახელმწიფოდ გაყოფილი რომელი ქვეყანაა ასახული ილუსტრაციაზე? ილუსტრაციაზე არსებული რომელი ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს?

(2) **20.2.** რომელ პოლიტიკურ სისტემას აკრიტიკებს მოცემული პლაკატი? კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს კრიტიკა მოცემულ ილუსტრაციაზე?









ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



რუსეთის პირობითი აღნიშვნები

- ქალაქი ⊙ დედაქალაქი
-  1724 წელს კონსტანტინოპოლის ზავით რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიები
-  რუსთა ლაშქრის გადაადგილების ძირითადი მიმართულება
-  რუსთა ლაშქრობა შილოვის მეთაურობით
-  რუსთა ლაშქრობა მათეუშკინის მეთაურობით
-  ოსმალთა ლაშქრის შეტევის მიმართულებები
-  ვახტანგ VI-ისა და მისი ამალის გადაადგილების მიმართულება
-  ოსმალეთის ვასალი სამეფო-სამთავროები
-  სეფიანთა ირანის ვასალი სამეფოები



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებას ასახავს წარმოდგენილი რუკა?

(1) **21.2.** რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაასახელეთ ლაშქრობების ხელმძღვანელი პირები.

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან დასრულდა რუსული ჯარის სახმელეთო სამხედრო მოქმედება?

(1) **21.4.** რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, რომელ ქალაქში დაიდო ზავი, რომლითაც სახელმწიფოთა შორის საზღვრების შეცვლა მოხდა?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული რუსული ჯარის ლაშქრობები?

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს ვასალი იყო ვახტანგ VI და რუკაზე აღნიშნულმა რომელმა მოვლენამ აიძულა ის, დაეტოვებინა ქვეყანა?

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქებისაკენ იყო მიმართული საზღვაო ლაშქრობები?

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ კასპის ზღვის სამხრეთით მდებარე სახელმწიფოს ქალაქები, რომლებსაც არ შეეხებია ლაშქრობები.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22.

XVIII საუკუნეში ამერიკის კოლონიები დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ომს აწარმოებდნენ ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთის მეფე ლუი XVI თვლიდა, რომ ამერიკელ ხალხს უნდა დახმარებოდა. მეფის მრჩეველთა ნაწილი მის პოზიციას მხარს უჭერდა, ხოლო მეორე ნაწილი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

დავალება 23.

საბჭოთა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, 1978 წლის 14 აპრილს სტუდენტები დიდი საპროტესტო აქციის ორგანიზებას აპირებდნენ. საზოგადოების ნაწილი ემხრობოდა ამ საპროტესტო აქციას, ნაწილი კი წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ამ საპროტესტო აქციის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ამ საპროტესტო აქციის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ისტორიული პროცესი, რომელსაც ინდუსტრიალიზაცია ეწოდა.

კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა სსრკ-ის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



ნაწყვეტი თბილისის რეკომის ხელმძღვანელი ქართველი ბოლშევიკის მოხსენებითი ბარათიდან

მიმდინარე წლის თებერვალში მომხდარმა ხელისუფლების ცვლილებამ და მენშევიკური მთავრობის გაქცევამ, თავდაპირველად თბილისიდან, შემდეგ კი ბათუმიდან, ვერ დაამშვიდა ქართველი ერის აღელვებული გონება. დეკრეტის თანახმად, გაქცეული მთავრობის ყოფილი მიმდევრების ქუთაისიდან და ბათუმიდან დაბრუნებამ და მათ მიერ საბჭოთა დაწესებულებებში საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავებამ, მოსახლეობაში იმედი გააღვივა. ისინი საკუთარ თავზე იღებენ გაქცეული ხელისუფლების გმირობის მქადაგებლის მოვალეობას და მოსახლეობაში ხელოვნურად ქმნიან განწყობას, რომ გაქცეული მთავრობა დაბრუნდება ანტანტის ჯარებთან

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ერთად. ამის იმედი მალე გავრცელდა მოსახლეობაში. ტფილისიდან სამხედრო ნაწილის გასვლა და ადგილზე ძველი მილიციის დატოვება, ისევე როგორც დაწესებულებათა კოლეგიებში გადაღებილი მენშევიკების არჩევა, ადასტურებდა ხმებს ძველი ხელისუფლების დაბრუნების შესახებ. ზემოთქმულს დიდი მნიშვნელობის მქონე გარემოებაც დაერთო - ქართული სამხედრო ნაწილების ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ძველი ოფიცრები გახდნენ; ბრიგადებისა და არმიის ჩამოყალიბების მიზნით გენერლების - წულუკიძის, ციციშვილის და ანდრონიკაშვილის, ასევე თავადებისა და ძველი რეჟიმის კადრების მიწვევამ დაანახა მოსახლეობას, რომ მოკლე დროში აღდგენილი იქნებოდა მისი ეროვნული არმია. თავისთავად ცხადია, რომ ნიკოლოზის დროინდელმა თანამებრძოლებმა

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ძველი თანამშრომლები მიიწვიეს, მაგალითად, ქართული არმიის შტაბის მეთაურად დანიშნული იქნა ყოფილი პოლკოვნიკი გედევანიშვილი, მენშევიკების მთავრობის გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი და სამხედრო მინისტრის თანაშემწის ნათესავი; პირველი პოლკის მეთაურად დაინიშნა ყოფილი პოლკოვნიკი მაჭავარიანი, რომელიც საკუთარ თანაშემწესთან ერთად ეწეოდა მენშევიკურ პროპაგანდას მისდამი დაქვემდებარებულ მეთაურთა შორის. ამ პროპაგანდამ თავისი როლი შეასრულა. ამჟამად არა მხოლოდ ქალაქი, არამედ სოფელიც კი იმყოფება ნერვული დაძაბულობის მდგომარეობაში, ელის ხელისუფლების სწრაფ ცვლილებას. საკმარისია შევიხედოთ ნებისმიერ სოფელში, რომ მოვისმინოთ საბჭოთა ხელისუფლების

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მაგება, თუკი გლეხი დარწმუნდება, რომ ქართული არ იცით. აგიტაცია ღიად წარმოებს, მასში მონაწილეობას იღებენ ყოფილი თავადები და აზნაურები, სოფლის რევკომების წევრებიც კი. ჩემთვის პირადად ცნობილია, რომ გლეხები ცვლიან პურს იარაღზე. რაც შეეხება გლეხებისა და რკინიგზის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა დაწესებულებათა მუშების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მე ვხედავ მზადყოფნას აჯანყებისადმი, რომელიც მენშევიკების მიერ არის პროპაგანდირებული. საქართველოს რევკომის წევრებს უწოდებენ უზურპატორებს, რომლებმაც ძალისმიერი მეთოდით წაართვეს ხელისუფლება საქართველოს პროლეტარიატს. „ის უნდა გადავაგდოთ, გავანადგუროთ“, ასე გაიძახის მოსახლეობა და ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში გეგმავენ

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

საოცნებო აჯანყების მოწყობას ისე, რომ არ სვამენ კითხვას მოსალოდნელი რეალური შედეგის შესახებ. აჯანყების ორგანიზატორთა ამჟამინდელი მიზნებია: დაანახონ ევროპას, რომ საქართველოს არ სურს ჰყავდეს ძალით თავს მოხვეული საბჭოთა

ხელისუფლება და ასევე, ხელი შეუწყონ ჟორდანias, რამიშვილისა და სხვათა მიერ წარმოებულ მუშაობას. განსაკუთრებით დაძაბული განწყობა იყო მოსახლეობაში მაშინ, როდესაც ბათუმის ნავსადგომში ამერიკული სამხედრო გემი იდგა.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

- (1) **25.1.** რომელმა კონკრეტულმა ისტორიულმა მოვლენამ აიძულა „მენშევიკური“ მთავრობა, დაეტოვებინა ჯერ თბილისი, ხოლო შემდეგ ბათუმი?
- (1) **25.2.** თქვენი აზრით, რატომ გამოსცა ახალმა ხელისუფლებამ წყაროში ნახსენები დეკრეტი?
- (1) **25.3.** განმარტეთ, რას გულისხმობს დოკუმენტში არსებული ფრაზა - „გადაღებილი მენშევიკები“?
- (1) **25.4.** დოკუმენტის მიხედვით, მოსახლეობაში გავრცელებული აზრით, ვინ დაეხმარებოდა გაქცეულ მთავრობას საქართველოში დაბრუნებაში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართველი გენერლები და ოფიცრები რუსეთის იმპერიის ჯარში მსახურობდნენ?

(1) **25.6.** თქვენი აზრით, რას გულისხმობს დოკუმენტის ავტორი, „საოცნებო აჯანყების“ მოსალოდნელ „რეალურ შედეგში“?

(1) **25.7.** თქვენი აზრით, რატომ იწყებდნენ გლეხები ხელისუფლების ძაგებას იმ შემთხვევაში, „თუ დარწმუნდებოდნენ, რომ უცხო პირმა ქართული არ იცოდა“?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ კონკრეტული ფაქტები, რამაც „მოსახლეობაში იმედი გააღვივა“.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ კონკრეტული ფაქტები, გარდა „გადაღებილი მენშევიკების“ არჩევისა კოლეგიებში, რომლებიც ადასტურებდა ხმებს ძველი ხელისუფლების მალე დაბრუნების შესახებ.

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, ვის უწოდებდნენ უზურპატორებს და რატომ?

(2) **25.11.** დოკუმენტის მიხედვით, რა იყო აჯანყების ორგანიზატორთა „ამჟამინდელი მიზნები“?

(2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, რამ გამოიწვია „განსაკუთრებით დამაბული განწყობა მოსახლეობაში“ და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)